



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N14

ქ. მარნეული

07.09.2015 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ლერი მუმლაძე, გიორგი შუკაკიძე, კოტე ბოჭორძე, ვალი ისმაილოვი, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი.

**არ ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:** - ნაბი აბდულაევი, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი.

ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების  
დღის წესრიგი:**

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2015 წლის ბიუჯეტის 6 თვის შედეგების შესახებ.
3. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანაძის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადების განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ბრდაზორის მცხოვრებთა განცხადების განხილვის შესახებ
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3086 განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 31 ივლისის N1762-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3081 წერილის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2138-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 17 აგვისტოს N1954-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
15. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015 წლის 25 აგვისტოს N1866665 წერილის განხილვის შესახებ
16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2137-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
17. სოციალური საკითხები

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

იმის გათვალისწინებით, რომ სხდომას არ ესწრებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნაზი აბდულაევი, სხდომას თავმჯდომარეობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვალერი მეტრეველი.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015წლის ადგილობრივ ბიუჯეტში დაფიქსირებულმა გამოთავისუფლებულმა სახსრებმა შეადგინა **499.3 ათ. ლარი**, აქედან **30.0 ათ.ლარით** გაიზარდა შემოსავლები, **469.3 ათ. ლარით** შემცირდა ხარჯები, ბიუჯეტის #1 დანართის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ და „ე“ ქვეპუნქტი და დანართი #3 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ამრიგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა **28235.3 ათ.ლარით**. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის 6 თვის ანგარიში როგორც შემოსულობების ასევე ხარჯვით ნაწილში. რომლის მიხედვით 6 თვეში მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივმა შემოსავლებმა შეადგინა 8 135 636 ლარი. აქედან გადასახადები - 1 146 802 ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი - 4 457 400 ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 124 800 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 477 872 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 25 765 ლარი, სხვა შემოსავლები - 1 828 122 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 74 875 ლარი. რაც შეეხება 2015 წლის 6 თვეში ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგინა 7 370 464 ლარი. აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯულია 311 886 ლარი, აღმასრულებელი ორგანოების მიერ - 1 341 962 ლარი, სარეზერვო ფონდიდან - 77 124 ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებიდან - 3 096 460 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 159 461 ლარი, ხოლო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მიზნით გაწეულია 402 016 ლარის ხარჯი. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დადებითად აფასებს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შედეგებს შემოსულობებისა და ხარჯვით ნაწილში, რასაც ბიუროს წევრები

დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარმოადგინა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის ახალი შემადგენლობა: თავმჯდომარე **ზურაბ ჭონიაშვილი**. წევრები: **ქამილ ალიევი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **კონსტანტინე გეგელიძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი; **გოჩა გოლოშვილი** - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი; **შადიმან გაგნიძე** - სსდ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამსახურის ინსპექტორების განყოფილების მთავარი ინსპექტორი; **როენა ახოზაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი; **გიორგი კაველაშვილი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი. ასევე კომისიას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაემატოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი და გამგეობის წარმომადგენელი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭომემ ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭომემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადება, რომელიც ითხოვს სოფელ მეორე კესალოში მდებარე ეკლესიის მიერ გახარჯული ელექტროენერჯის დავალიანების - 1 793 ლარისა და 32 თეთრის დაფარვას, რომელიც მოიცავს 2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის აგვისტომდე პერიოდს რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭომემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადება, რომელიც ითხოვს დაფინანსდეს ქალაქ მარნეულში მდებარე 2 მეჩეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, რომელიც ქვითარი N50/10360165-ს მიხედვით შეადგენს 37 ლარსა და 88 თეთრს და ქვითარი N50/10360164-ს მიხედვით შეადგენს 134 ლარსა და 75 თეთრს, ვინაიდან ამ უკანასკნელს უკვე გადახდილი აქვს ქვითრით წარმოდგენილი დავალიანებიდან 125 ლარი და 21 თეთრი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭომემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადება, რომელიც ითხოვს ბინის ქირის გადახდას, ვინაიდან დაეწვა სახლი და დარჩა

საცხოვრებელი ბინის გარეშე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც საკრებულოს წევრებს, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, ყოველთვიურ ხარჯად უწესდება 397 ლარი და აღარ დაუკავდებათ საშემოსავლო, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ხოჯორნის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ბრდაზორის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება, რომლებიც სოფლის შიდა გზის მოხრეშვისათვის ითხოვენ 150 ლიტრი დიზელის საწვავის გამოყოფას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3086 წერილი, რომლის მიხედვითაც ორგზის არშემდგარი ტენდერის გამო, ითხოვენ მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, წერეთელსა და თაქლოში სარწყავ არხებზე გადასასვლელი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები შეისყიდოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 31 ივლისის N1762-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მოქალაქე თეიმურ სულეიმანოვი ითხოვს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექ.ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულია მისამართით - ქალაქი ბორჩალოელის ქუჩა N20ა, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ბორჩალოელის ქუჩა N36, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთეთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3081 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მოქალაქე იამზე მაისურაძე ითხოვს გასწორდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 ივნისის N146 განკარგულება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქ.N3“-ს ნაცვლად ჩაიწეროს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მეგობრობა“. 2014 წლის 11 ივნისის N146 განკარგულების საფუძვლებში, ქონების მართვის სამსახურის

მოხსენებით ბარათში, იამზე მაისურაძის განცხადებაში და საერთო კრების ოქმშიც ყველგან მითითებულის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქ. N3“, რაც გამორიცხავს ტექნიკურ შეცდომას. აღნიშნულს დაეთანხმნენ ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2138-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ითხოვენ ქალაქ მარნეულში, გიორგაძის ქუჩა N3ა კორპუსის საზღვრების (წითელი ხაზები) დადგენას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 17 აგვისტოს N1954-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რათა შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის N64 განკარგულებაში და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სმპ 243“-სათვის დამტკიცებულ წითელი ხაზების საზღვრებს მიეთითოს საცხოვრებელი კორპუსის N4, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი, რომელიც ითხოვს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის N13 განკარგულებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის გადაცემული ავტომანქანა SKODA SUPER B სახ. N FCF-696 -ს სამსახურისათვის გადაცემას ბალანსიდან ბალანსზე, დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აბიდ ოსმანოვმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2137-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითოვენ მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი 44 ერთეული ნაგვის ბორბლებიანი კონტეინერი სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცეს ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანმა ბიუროს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისთვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, ასევე გააკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულებების შესახებ და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწიათ სხვადასხვა დახმარებები (ოპერაცია, მედიკამენტები, მკურნალობა, ერთჯერადი), რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოადგილე:

ვალერი მეტრეველი